ბრძანება

N 04/11

11-01-4-201801231814

23/01/2018

შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივრის ნაწილობრივ დასაშვებად ცნობის, მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-12 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-14 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის ნაწილში, დასაშვებად იქნეს ცნობილი შპს „სიტროენ ჯორჯიას“ (ს/კ 402033839) საჩივარი მოპასუხეების შპს „სტრადა მოტორსის“ (ს/კ 401960286), შპს „იბერია ავტოს“ (ს/კ 236098129), სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ (ს/კ 204478948), შპს „კია მოტორს ჯორჯიას“ (ს/კ 236096675), შპს „ჯი-თი მოტორსის“ (ს/კ 206276340) და სს „ფრანს ავტოს“ (ს/კ 236098165) მიმართ და საქართველოს კონკურენციის სააგენტომ (შემდგომში - „სააგენტო“), წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე, დაიწყოს მოკვლევა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტზე.
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის ნაწილში, დაუშვებლად იქნეს ცნობილი შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივარი მოპასუხე შემსყიდველი ორგანიზაციების - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის და შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიმართ, თანდართული დასაბუთებული დასკვნის გათვალისწინებით.
3. სააგენტოში შეიქმნას მოკვლევის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

3.1. ნიკა სერგია - სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გამოვლენისა და აღკვეთის სამმართველოს უფროსი (მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი);

3.2. ნინო ჯიბუტი - სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გამოვლენისა და აღკვეთის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

3.3. ნანა რამაზაშვილი - სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გამოვლენისა და აღკვეთის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

3.4. თინათინ ლოლაძე - სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გამოვლენისა და აღკვეთის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი;

3.5. აკაკი ცერცვაძე - სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოვლენისა და აღკვეთის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი;

3.6. სალომე ქავთარაძე - სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

3.7. პაატა მეძველია - სააგენტოს ბაზრის მონიტორინგისა და ანალიზის დეპარტამენტის კონცენტრაციისა და სახელმწიფო დახმარებების სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი.

4. მოკვლევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება ეცნობოს შპს „სიტროენ ჯორჯიას“, შპს „სტრადა მოტორსს“, შპს „იბერია ავტოს“, სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“, შპს „კია მოტორს ჯორჯიას“, შპს „ჯი-თი მოტორსს“ და სს „ფრანს ავტოს“.

5. მოკვლევის ჯგუფმა, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადებისა და პროცედურების დაცვით, განახორციელოს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის ფაქტის მოკვლევა.

6. მოკვლევის დაწყების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

7. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

8. ბრძანების მე-2 პუნქტის გასაჩივრება შესაძლებელია საქართველო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

9. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივარი (რეგ. 01/1058, 12.12.2017).

ნოდარ ხადური

თავმჯდომარე

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს დასკვნა შპს „სიტროენ ჯორჯიას“ 2017 წლის 12 დეკემბრის საჩივრის ნაწილობრივ დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის ნაწილში

1. აღწერილობითი ნაწილი

2017 წლის 12 დეკემბერს საქართველოს კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში -„სააგენტო“) წარმოდგენილ იქნა შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივარი (რეგ. 01/1058, 12.12.2017) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებისა და მე-10 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაძლო დარღვევის შესახებ. საჩივარში აღნიშნულია შემდეგი:

1) შემსყიდველი ორგანიზაციები - სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, შპს „გარდაბნის თბოსადგური“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვებში უპირატესობას ანიჭებენ კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტებს და ამგვარად, მნიშვნელოვნად ზღუდავენ კონკურენციას;

2) ურთიერთშეთანხმებული მოპასუხე ეკონომიკური აგენტები (6 კომპანია) შეთანხმებული მოქმედებების შედეგად მნიშვნელოვნად ზღუდავენ კონკურენციას.

წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე, კანონის 23-ე მუხლის თანახმად, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სააგენტომ ჩართო მომჩივანი, მოპასუხე ეკონომიკური აგენტები და მოპასუხე შემსყიდველი ორგანიზაციები: შპს „სიტროენ ჯორჯია“ (ს/კ 402033839), შპს „სტრადა მოტორსი“ (ს/კ 401960286), ,შპს „იბერია ავტო“ (ს/კ 236098129), სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ (ს/კ 204478948), შპს „კია მოტორს ჯორჯია“ (ს/კ 236096675), შპს „ჯი-თი მოტორსი“ (ს/კ 206276340), სს „ფრანს ავტო“ (ს/კ 236098165), სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, შპს „გარდაბნის თბოსადგური“ (ს/კ 404428071) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საჩივარში გამოთქმულ მოსაზრებებთან და ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით აღნიშნულმა პირებმა სააგენტოში წარმოადგინეს წერილობითი მოსაზრებები.

2. საქართველოს კანონმდებლობა

<u>ა) მატერიალური მხარე</u>

კანონის მე-2 მუხლის თანახმად, კანონის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ:

ბ) ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათების დაწესება, რომლებიც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან/და სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში წარუდგინოს დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე.

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების (შემდგომში „საქმის მოკვლევის წესი“) მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია, საქმის მოკვლევა დაიწყოს საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

<u>ბ) პროცედურული მხარე</u>

კანონის მე-16 მუხლის თანახმად, კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად იქმნება სააგენტო, მე-17 მუხლით კი დადგენილია სააგენტოს საქმიანობის პრინციპები, კერძოდ: დამოუკიდებლობა, არადისკრიმინაციულობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მისი გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს.

კანონის 22-ე მუხლის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელმაც საჩივართან ერთად სააგენტოს უნდა წარუდგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მომჩივანი არის ეკონომიკური აგენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი საჩივრით მიმართავს სააგენტოს. მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი.

ამავე კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო საჩივრის მიღებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სწავლობს საჩივრის დასაშვებობის საკითხს. აღნიშნული ვადა, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და

განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანების (შემდგომში „საჩივრის წარდგენის წესი") მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეადგენს 30 დღეს. საჩივრის წარდგენის წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დასაშვებობის ვადის დინება ჩერდება, თუ მომჩივანისგან მოთხოვნილია დამატებითი ინფორმაცია ან მტკიცებულებები. ვადა ჩერდება მომჩივანისგან შესაბამისი პასუხის მიღებამდე. კანონის 24-ე მუხლისა და საქმის მოკვლევის წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, მათ შორის, თუ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.

უარის შესახებ გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. შპს „გარდაბნის თბოსადგური“

შპს „სიტროენ ჯორჯიას“ (შემდგომში - „მომჩივანი“) მიერ სააგენტოში წარდგენილი საჩივრის თანახმად, მომჩივანის მხრიდან განხორციელდა შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების (SPA170003741, SPA170004990) პირობების გასაჩივრება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში (შემდგომში - „დავების საბჭო“). მომჩივანის ძირითადი პრეტენზიები ეხებოდა შემსყიდველის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს - არანაკლებ სამ წლიანი გამოცდილების, საერთო სალონში და ყოველ სამგზავრო რიგზე გათბობა/კონდიცირებისა და „ქრაშ ტესტის“ არსებობის შესახებ. დავების საბჭოს მიერ საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. თავის მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერაც ნაწილობრივ განხორციელდა შენიშვნების ასახვა სატენდერო დოკუმენტაციაში. საბოლოოდ, შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ გამოცხადებულ SPA170004990 ტენდერში გაიმარჯვა შპს „ჯი-თი მოტორსმა“, რომელმაც სავარაუდო ღირებულებაზე 16,47%-ით დაბალი ფასის შეთავაზება მოახდინა. აღსანიშნავია, რომ SPA170004990 ტენდერში მომჩივანს მონაწილეობა არ მიუღია.

3.2. სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი

შპს „სიტროენ ჯორჯია“ საჩივარში ასევე მიუთითებს სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში (SPA160019418, SPA160025207, SPA160028350, NAT170012303) შემსყიდველის მხრიდან მოპასუხე ეკონომიკური

აგენტებისათვის უპირატესობის მინიჭებისა და მომჩივანი ეკონომიკური აგენტის საქმიანობის შეფერხების გზით კონკურენციის მნიშვნელოვნად შეზღუდვის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ საჩივარში დასახელებული 4 ტენდერიდან, სამ მათგანზე (SPA160019418, SPA160025207, SPA160028350) შპს „სიტროენ ჯორჯიას“ სააგენტოში წარმოდგენილი ჰქონდა საჩივარი 2016 წლის 9 ნოემბერს. აღნიშნულ საჩივარზე 2016 წლის 23 დეკემბერს გამოიცა №241 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება შპს „სიტროენ ჯორჯიას“ 2016 წლის 9 ნოემბრის საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ“.

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის 17 იანვრის №01/18 წერილიდან იკვეთება, რომ 2016 წლის 7 ივნისს გამოცხადებული SPA160016505 ტენდერი შეწყვეტილ იქნა სწორედ მას შემდეგ, რაც შპს ,,სიტროენ ჯორჯიამ“ ელექტრონული კითხვა-პასუხის მოდულის მეშვეობით მოითხოვა სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება (გამოცდილებასთან და ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოშვების წელთან მიმართებით). შედეგად, შპს „სიტროენ ჯორჯიას“ პოზიციის გათვალისწინებით, 2016 წლის 6 ივლისს გამოცხადდა ახალი ტენდერი SPA160019418. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივანის მოსაზრება, რომ სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს სურდა მისი შეზღუდვა, მოკლებულია ლოგიკას.

სააგენტოს თავმჯდომარის ზემოთ ხსენებული ბრძანების შესაბამისად განხილულ SPA160019418, SPA160025207, SPA160028350 ტენდერებთან დაკავშირებით, 2017 წლის 12 დეკემბერს წარმოდგენილ საჩივარში არ იკვეთება ახლად აღმოჩენილი გარემოებები.

სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ 2017 წლის 18 ოქტომბერს კვლავ გამოცხადდა NAT170012303 ელექტრონული ტენდერი. ტენდერში გაიმარჯვა შპს „სტრადა მოტორსმა“. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ტენდერში, სატენდერო პირობებიდან ამოღებულ იქნა „ქრაშ ტესტის“ მოთხოვნა, რომლის არქონაც, მომჩივანის მითითებით, მისი ტენდერში მონაწილეობის მიუღებლობის გადამწყვეტი ფაქტორი იყო.

3.3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივრის თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2017 წლის 7 აპრილს გამოცხადებულ იქნა NAT170003873 ტენდერი 10 ერთეული სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის (რეანიმობილი) შესყიდვასთან დაკავშირებით. ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის შეთავაზება მომჩივანის მიერ განხორციელდა, მაგრამ რიგი სატენდერო პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო, იგი დისკვალიფიცირებულ იქნა ტენდერიდან. გამარჯვებულად გამოცხადდა სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“, ხოლო დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება შპს „სიტროენ ჯორჯიამ“ გაასაჩივრა დავების საბჭოში.

4. სამოტივაციო ნაწილი

4.1. ზოგადი შეფასება

განცხადების/საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლა ხდება ორ ეტაპად: ჯერ მოწმდება, აქვს თუ არა სააგენტოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, აწარმოოს მოკვლევა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით და ხდება იმის ანალიზი, შესაძლებელია თუ არა სააგენტოს უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით შემოსული განცხადების/საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყება, მათ შორის, გონივრული ეჭვის სტანდარტის დაკმაყოფილებიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ საკითხის განხილვა სცილდება სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლებს, მისი შინაარსობრივი ანალიზი არ ხორციელდება და დაუშვებლობა დგინდება პროცედურულ საფუძველზე.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში საჩივარში დასმული, სააგენტოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების განხილვისას, დასაშვებობის ეტაპის გადასალახავად უნდა დაკმაყოფილდეს მინიმუმ ორი პირობა მაინც:

1. სახეზე უნდა იყვნენ სათანადო მოპასუხეები კანონის შესაბამის მუხლებთან მიმართებით. ანუ, ყოველი კონკრეტული დარღვევის ნაწილში, მომჩივანს უშუალო ზიანი უნდა ადგებოდეს იმ კონკრეტული მოპასუხის მიერ განხორციელებული ქმედებებით, რომელსაც ეს უკანასკნელი უკავშირებს აღნიშნულ დარღვევას;
2. უნდა კმაყოფილდებოდეს გონივრული ეჭვის სტანდარტი.

საჩივარში აღწერილი გარემოებები გაანალიზებულია სწორედ ზემოაღნიშნული პირობების ჭრილში.

4.2. შეფასებები კანონის მე-10 მუხლის ნაწილში მოპასუხედ დასახელებულ კონკრეტულ მხარეებთან მიმართებით

4.2.1. შპს „გარდაბნის თბოსადგური“

კანონის მე-10 მუხლის სუბიექტები არიან სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. აღნიშნული დანაწესის მიხედვით, კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნათა სავარაუდო დარღვევის საკითხი შესაძლებელია შეფასდეს მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოების მიმართ. გარდა ამისა, სააგენტოს გააჩნია დადგენილი პრაქტიკა[1] ხსენებული საკანონმდებლო რეგულირების

[1] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 დეკემბრის №245 ბრძანება „კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 5 აგვისტოს №128 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ“, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 13 ნოემბრის №04/303 ბრძანებით დამტკიცებული „გადაწყვეტილება სს

გათვალისწინებით და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ განხორციელებული ქმედებები არ არის მიჩნეული კანონის მე-10 მუხლის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებად.

შპს „გარდაბნის თბოსადგური“ წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის 49,092% წილის მმართველია სს „საპარტნიორო ფონდი“ (ს/ნ 404404550), ხოლო 50,908% წილის მმართველია - სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (ს/ნ 206237491). ფუნქციური თვალსაზრისით, უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, აღნიშნული შპს-ის, როგორც მოგებაზე ორიენტირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის, ხოლო მეორე მხრივ, მისი მმართველი პარტნიორების საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ თავის მხრივ არც შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ წილის მმართველები წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს.

საქართველოს კანონმდებლობა მიჯნავს კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული კერძო და საჯარო სამართალს შორის არსებულ განსხვავებებთან და უწესებს მათ საქმიანობისა და პასუხისმგებლობის განსხვავებულ სტანდარტებს. ამდენად, შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ ფუნქციონირების სპეციფიკა რადიკალურად განსხვავდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მუშაობის სპეციფიკისაგან.

ვინაიდან კანონის მე-10 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე, ამ შემთხვევაში შპს „გარდაბნის თბოსადგურზე“, შესაბამისად, ვერ შეფასდება მის მიერ ამ ნორმის მოთხოვნათა დარღვევის საკითხიც.

კანონის 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ არ არსებობს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი. განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა სწორედ ეს გარემოება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიმართ, საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტებს.

4.2.2. სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი

2016 წლის 9 ნოემბერს შპს „სიტროენ ჯორჯიამ“ სააგენტოში წარადგინა საჩივარი კანონის მე-7 და მე-10 მუხლების სავარაუდო დარღვევის შესახებ. აღნიშნული საჩივრის მიხედვით, ერთ-ერთ მოპასუხე შემსყიდველ ორგანიზაციას წარმოადგენდა სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი. საჩივარზე სააგენტომ დეტალურად იმსჯელა 2016 წლის 23 დეკემბრის №241 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში. როგორც ფაქტობრივი გარემოებების აღწერისას აღინიშნა, ხსენებული ბრძანება მოიცავს SPA160019418, SPA160025207, SPA160028350 ტენდერების შესახებ მსჯელობას.

სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ გამოცხადებული ტენდერებისას, შპს „სიტროენ ჯორჯია“ დარეგისტრირებული იყო, როგორც მეწარმე სუბიექტი და მიღებული ჰქონდა მონაწილეობა ცენტრის მიერ გამოცხადებულ მხოლოდ ერთ, SPA160019418 ტენდერში.

„სადაზღვევო ჯგუფის“ 2017 წლის 18 ოქტომბრის განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ“.

სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის 2017 წლის 25 დეკემბრის 01/1089 წერილის თანახმად, SPA160019418 ტენდერის გამოცხადებამდე, მათ მიერ 2016 წლის 7 ივნისს გამოცხადებულ იქნა SPA160016505 ტენდერი. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, ავტომობილები გამოშვებული უნდა ყოფილიყო არანაკლებ 2016 წელს და პრეტენდენტს უნდა ჰქონოდა საქართველოს ბაზარზე არანაკლებ 1 (ერთ) წლიანი გამოცდილება. მითითებულ პირობებთან დაკავშირებით, შპს „სიტროენ ჯორჯიამ“ კითხვა-პასუხის მოდულში დასვა კითხვები - რატომ ზღუდავდა შემსყიდველი ორგანიზაცია ბაზარზე ახლად შემოსულ, გამოცდილების არმქონე კომპანიებს, თუ მათ შეეძლოთ კარგი პროდუქტის მიწოდება. კითხვები განხილულ იქნა სატენდერო კომისიის მიერ და ახალი SPA160019418 ტენდერი გამოცხადებულ იქნა კომპანიის პოზიციის გათვალისწინებით, დასახელებული სადავო პირობების გარეშე.

2016 წლის 9 ნოემბრის საჩივარში შპს „სიტროენ ჯორჯია“ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ „ქრაშ ტესტის“ მოთხოვნის დაწესებას განიხილავდა კონკრეტული ტენდერის პირობების მხოლოდ ერთ კომპანიაზე მორგებად. თუმცა, სააგენტოს პოზიციით, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ ბაზაში არსებობდა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ ტენდერში კონკურენტული გარემოს შექმნის მცდელობას. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ასევე სათანადოდ იყო დასაბუთებული შესასყიდი სასწრაფო დახმარების მანქანებისთვის „ქრაშ ტესტის“ აუცილებლობა. სააგენტომ მიიჩნია, რომ მომჩივანი სათანადოდ ვერ ადასტურებდა სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ კანონის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტს და შესაბამისად, მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტები ვერ აკმაყოფილებდნენ გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს, რაც მოკვლევის დაწყების აუცილებელი წინაპირობაა.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს თავმჯდომარის №241 ბრძანება არ გასაჩივრებულა შპს „სიტროენ ჯორჯიას“ მიერ და იგი კანონიერ ძალაშია შესული.

საჩივრის წარდგენის წესის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჩივრის დასაშვებად ცნობაზე უარი ან მათ საფუძველზე წარმოებული მოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების არსებობა არის იმავე საკითხზე ან იმავე საფუძვლით ერთი და იმავე პირის მიერ განმეორებით შემოტანილი საჩივრის დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის საფუძველი, თუ არ არსებობს ახლად აღმოჩენილი გარემოება. დასახელებულ სამ ტენდერში, საჩივრიდან გამომდინარე ახლად აღმოჩენილი გარემოებები არ იკვეთება, ამდენად, ამ ნაწილში, საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

2017 წლის საჩივარი დამატებით (გარდა ზემოთ ხსენებული 3 ტენდერისა) ეხება 2017 წლის 18 ოქტომბერს გამოცხადებულ NAT170012303 ელექტრონული ტენდერს. აღნიშნულ ტენდერში მოხდა „ქრაშ ტესტის“ მოთხოვნის ამოღება და გაიმარჯვა შპს „სტრადა მოტორსმა“. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის განმავლობაში სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრმა 4-ჯერ გამოაცხადა ტენდერი (SPA160016505, SPA160019418, SPA160025207, SPA160028350) 6 ერთეული სასწრაფო დახმარების ავტომანქანის შესყიდვის მიზნით. თუმცა, ოთხივე ტენდერი ვერ შედგა შპს „სიტროენ ჯორჯიას“ მიერ ტენდერის პირობების დავების საბჭოში პერმანენტული გასაჩივრების გამო (სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის სატენდერო კომისიის 2016 წლის 17 ივნისის, 16 სექტემბრის, 14 ნოემბრისა და 2017 წლის 5 იანვრის სხდომის ოქმები). საჩივრები, გარდა SPA160016505 ტენდერისა, შეეხებოდა „ქრაშ

ტესტის“ მოთხოვნის არსებობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრმა 2017 წელს გამოაცხადა ტენდერი „ქრაშ ტესტის“ მოთხოვნის დაწესების გარეშე.

შემსყიდველ ორგანიზაციას ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად, გააჩნდა სრული ლეგიტიმური უფლება, დაეწესებინა მსგავსი მოთხოვნა საკუთარი შეხედულებისამებრ. თავის მხრივ, ამავე კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, კონკრეტული მოთხოვნების შემუშავება და დაწესება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ არადისკრიმინაციულობის და მიუკერძოებლობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს, რასაც საფუძვლად ბაზრის შესწავლა და შემსყიდველის საჭიროებების გათვალისწინება უნდა ედოს. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნები წარმოადგენს მინიმალურ სტანდარტს და შემსყიდველ ორგანიზაციას გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება, მოითხოვოს უკეთესი მონაცემების მქონე პროდუქტი, თუ მისი შეძენა შესაძლებელია დადგენილ ზღვრულ საფასო კატეგორიაში. ის ფაქტი, რომ 2016 წლის განმავლობაში 4 ჩაშლილი ტენდერის შემდგომ, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრმა ამოიღო „ქრაშ ტესტის“ მოთხოვნა, არ მიუთითებს მისი მხრიდან კანონის მე-10 მუხლის დარღვევაზე. უნდა აღინიშნოს ის, რომ გარკვეული საკვალიფიკაციო პირობის სატენდერო მოთხოვნებიდან ამოღება, მისი სამართლებრივი და ეკონომიკური ბუნებიდან გამომდინარე, თეორიულადაც კი არ წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველ ქმედებას, ვინაიდან ამით ფართოვდება იმ პირთა წრე, ვინც შეიძლება ჩაერთოს ტენდერში, როგორც პოტენციური მიმწოდებელი. შესაბამისად, არ შეიძლება, შემსყიდველის ქმედება, მოთხოვნების შემსუბუქებასთან დაკავშირებით, ჩაითვალოს კონკურენციის შემზღუდველად. „ქრაშ ტესტის“ მოთხოვნის ამოღებით, პოტენციურად უნდა გაზრდილიყო იმ ეკონომიკური აგენტების რაოდენობა, ვინც შეძლებდა ტენდერში მონაწილეობის მიღებას. 2017 წლის 19 სექტემბერს სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრმა გამოაცხადა ტენდერი NAT170011210, ასევე „ქრაშ ტესტის“ მოთხოვნის გარეშე, თუმცა მასში არცერთ პრეტენდენტს არ მიუღია მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ უშუალოდ „ქრაშ ტესტის“ მოთხოვნის დაწესებისა თუ ამ მოთხოვნის გაუქმების საკითხის განხილვა და ქმედების ტექნიკური მიზანშეწონილობის დადგენა სცილდება სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებს. სამართლებრივად, ორივე შემთხვევაში, მოპასუხე უწყების ქმედება ექცევა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო ამ უკანასკნელის გამოყენება კონკურენციის შემზღუდველი ფორმით არ მომხდარა. შესაბამისად, ამ ნაწილში კანონის მე-10 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით არ წარმოიშვება გონივრული ეჭვი, რაც ამ მიმართულებით მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტებს სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიმართ.

4.2.3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მომჩივანი მიუთითებს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2017 წლის 7 აპრილს გამოცხადებულ NAT170003873 ტენდერში მისი დისკვალიფიკაცია მოხდა სხვადასხვა მიზეზთა გამო, მის მიერ ტენდერის შედეგები ორჯერ იქნა გასაჩივრებული დავების საბჭოში და ორჯერვე დაკმაყოფილდა. უნდა აღინიშნოს, რომ დავების საბჭოს ოქმის ანალიზი არ ადასტურებს საჩივრის სრულად დაკმაყოფილების ფაქტს. დავების საბჭომ სამინისტროს სატენდერო კომისიას დაავალა, დეტალურად ემსჯელა დისკვალიფიკაციის მიზეზებზე. დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა სატენდერო კომისიის 2017 წლის 1 მაისის №2 ოქმი, რომლითაც შპს „სიტროენ ჯორჯიას“ განესაზღვრა 3 სამუშაო დღის ვადა 12 სახის ტექნიკური დოკუმენტაციის დასაზუსტებლად. კერძოდ, კომპანიას ეთხოვა ინფორმაცია ავტომანქანების საგარანტიო და სერვისის პირობების შესახებ, ავტომანქანის ტვირთამწეობის შესახებ, ავტომანქანის საბაზისო მოდელის დეტალური სქემები და ნახაზები, ავტომანქანის შიდა აღჭურვის განმახორციელებელი კომპანიის 5 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ა.შ. მომჩივანმა არასრულად განახორციელა სატენდერო კომისიის მიერ განსაზღვრული ტექნიკური დოკუმენტაციის მიწოდება. საბოლოოდ, სატენდერო კომისიის მიერ შპს „სიტროენ ჯორჯია“ დისკვალიფიცირებულ იქნა NAT170003873 ტენდერიდან. დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება წარმოდგენილია სატენდერო კომისიის 2017 წლის 16 ივნისის №4 ოქმში. კომისიამ ასევე მიიჩნია, რომ მომჩივანის მხრიდან ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენას, რადგან მას წარმოდგენილი ჰქონდა არასწორი დოკუმენტაცია ავტომობილის ტექნიკურად აღმჭურველი კომპანიის რეგისტრაციის თარიღთან დაკავშირებით. მომჩივანმა აღნიშნული ოქმი დავების საბჭოში გაასაჩივრა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 28 დეკემბრის 01/1104 წერილის თანახმად, მომჩივანს ასევე სათანადოდ არ ჰქონდა წარმოდგენილი სხვა დოკუმენტაციაც და მხოლოდ ავტომობილის ტექნიკურად აღმჭურველი კომპანიის გამოცდილების დაუდასტურებლობა არ გამხდარა მისი ტენდერიდან დისკვალიფიკაციის საფუძველი. სატენდერო კომისიის 2017 წლის 16 ივნისის №4 ოქმის გასაჩივრების შედეგად დავების საბჭომ აღნიშნა, რომ დისკვალიფიკაციისათვის საკმარისია ერთი დოკუმენტის დადგენილ პირობებთან შეუსაბამობაც კი. თუმცა, სატენდერო კომისიას კვლავ დაევალა კონკრეტულ გარემოებებზე დამატებითი მსჯელობა. სატენდერო კომისიამ დამატებით იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და 2017 წლის 13 ივლისის №5 სხდომის ოქმის შესაბამისად, სატენდერო მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო, მოახდინა კომპანიის დისკვალიფიკაცია, რაც მომჩივანის მხრიდან დავების საბჭოში აღარ გასაჩივრებულა.

დამატებით აღსანიშნავია, რომ მომჩივანი აქცენტს აკეთებს სადავო ტენდერში გამარჯვებული კომპანიის სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ მხრიდან ასევე არასრული დოკუმენტაციის წარდგენაზე. თუმცა, როგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე არსებული და ხსენებული კომპანიის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან ირკვევა, სს „ჰიუნდაი ავტო საქართველომ“ სატენდერო კომისიის №7 ოქმის საფუძველზე წარადგინა ყველა საჭირო დოკუმენტაცია და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა მასთან ხელშეკრულების გაფორმება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტენდერის გამოცხადებამდე ჩატარებული ბაზრის კვლევისას, მომჩივანმა სამინისტროს სთხოვა გამოცდილების მოთხოვნის ამოღება სატენდერო დოკუმენტაციიდან, რათა მას, როგორც ბაზარზე ახლად შესულ კომპანიას ჰქონოდა ტენდერში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. მომჩივანის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა სამინისტროს სატენდერო კომისიის მიერ. აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ სამინისტროს ჰქონდა შესაძლებლობა, შპს ,,სიტროენ ჯორჯიას" ტენდერში მონაწილეობა გამოერიცხა თავიდანვე, მითითებული პირობის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში დატოვების გზით, თუმცა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მსგავს ქმედებას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნული გარემოება აბათილებს მომჩივანის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას სურდა შპს ,,სიტროენ ჯორჯიას" შეზღუდვა, რადგან ეს მარტივად იქნებოდა შესაძლებელი ხსენებული გამოცდილების პირობის სატენდერო მოთხოვნებში დატოვებით.

რაც შეეხება შპს ,,სიტროენ ჯორჯიას" მიერ სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარში მითითებულ გარემოებას - ავტომობილის შიდა აღჭურვის განმახორციელებელი კომპანიის 5 წლიან გამოცდილებასთან დაკავშირებით, მასთან მიმართებით მომჩივანს ბაზრის კვლევისას პრეტენზია არ გამოუთქვამს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 28 დეკემბრის 01/1104 წერილის მიხედვით, ბაზრის კვლევისას ჩატარებული გამოკითხვის ეტაპზე, შპს „სიტროენ ჯორჯიამ" მიუთითა, რომ ავტომანქანების მოდიფიცირება განხორციელდებოდა სიტროენის მიერ ლიცენზირებულ კომპანიაში თურქეთში ან სლოვენიაში. თუმცა, საბოლოოდ, მომჩივანმა ტენდერის მიმდინარეობისას წარმოადგინა უკრაინული კომპანიის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ავტომანქანების შესაბამისად აღჭურვა. თავის მხრივ, მომჩივანის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი უკრაინული კომპანიის რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებით, შეიცავდა არასწორ ინფორმაციას, რაც სამინისტროს მხრიდან გადამოწმდა უკრაინის შესაბამის უწყებებთან. ამასთანავე, სამინისტროს განმარტებით, რეანიმობილების დანიშნულებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი და აუცილებელია ტექნიკურად გამართული და შესაბამისად აღჭურვილი ავტომობილის შესყიდვა, რომლის დამადასტურებელ ერთ-ერთ გარემოებად კი სწორედ აღმჭურველი კომპანიების გამოცდილება შეიძლება იქნეს განხილული.

საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო ხელმძღვანელობს მიღებული საჩივრისა და მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის შეპირისპირების, ასევე, მოძიებული სხვა ინფორმაციის მიხედვით. დოკუმენტაციის შესწავლისა და ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ მომჩივანი ვერ ასაბუთებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ კანონის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტს და შესაბამისად, მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტები ვერ აკმაყოფილებს გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს, რომელიც მოკვლევის დაწყების აუცილებელი წინაპირობაა.

სააგენტომ, საკუთარ არაერთ გადაწყვეტილებაში, მათ შორის ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის" განცხადებასა[2] და შპს „სიტროენ ჯორჯიას"

[2] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის ბრძანება №25 - გადაწყვეტილება ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის" განცხადების

საჩივართან[3] დაკავშირებით, განმარტა, თუ რა შემთხვევაში არ მიიჩნევა დაკმაყოფილებულად გონივრული ეჭვის სტანდარტი.

სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს. ამასთან, სააგენტო ყურადღებით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. კერძოდ, თუ რამდენად შეიცავს საჩივარი კონკურენციის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის მტკიცებულებებს. საბოლოოდ, ფასდება მოპასუხის/მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა საქმისათვის გამოსადეგი იყოს და გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ მიიღება სააგენტოში მიღებული ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ინფორმაციის ერთობლიობის საფუძველზე, სააგენტო დაადგენს, არსებობს თუ არა გონივრული ეჭვი, რომელიც გაამართლებდა მოკვლევის დაწყებას.

უნდა აღინიშნოს, რომ შპს „სიტროენ ჯორჯიას“ მიერ მისი დისკვალიფიკაციის შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც სასამართლო წარმოების ფარგლებში შესაძლებელი იქნება საკითხის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ჭრილში განხილვა.

მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ.

საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ; ხელმისაწვდომია: http://competition.ge/ge/page4.php?b=368

. ასევე, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 დეკემბრის № 246 ბრძანება - გადაწყვეტილება ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ 2016 წლის 24 ნოემბრის №01/1114 განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ; ხელმისაწვდომია: http://competition.ge/ge/page4.php?b=496

[3] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №241 - გადაწყვეტილება შპს „სიტროენ ჯორჯიას“ 2016 წლის 9 ნოემბრის საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ; ხელმისაწვდომია: http://competition.ge/ge/page4.php?b=493 .

დასკვნა შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივრის ნაწილობრივი დაუშვებლობის შესახებ (მე-10 მუხლის ნაწილში) - შეჯამება

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ნაწილში, შპს „გარდაბნის თბოსადგურთან“ მიმართებით, შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივარი დაუშვებლად იქნას ცნობილი მოპასუხის მე-10 მუხლის სუბიექტად მიუჩნევლობის გამო.
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ნაწილში, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრთან მიმართებით, შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივარი დაუშვებლად იქნას ცნობილი, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და გონივრული ეჭვის სტანდარტის დაუკმაყოფილებლობის საფუძველზე.
3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ნაწილში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან მიმართებით, შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივარი დაუშვებლად იქნას ცნობილი გონივრული ეჭვის სტანდარტის დაუკმაყოფილებლობის საფუძველზე.